ახალი უმაღლესი სასწავლებელი
ნიუუნი

NEW HIGHER EDUCATION INSTITUTE
NEWUNI

სტუდენტის ეთიკის კოდექსი

დამტკიცებულია: რექტორის ბრძანებით N 15-ა
თარიღი: 11.09.2013
ბოლო ცვლილება: რექტორის ბრძანებით N 19-ა
თარიღი: 24.12.2024

ახალი უმაღლესი სასწავლებელი – „ნიუუნი“

შინაარსი:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....2
მუხლი 2. ეთიკის ზოგადი წესები.....2
მუხლი 3. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ეთიკის წესები.....2
მუხლი 4. პასუხისმგებლობა ეთიკის ნორმების დარღვევისთვის.....3
მუხლი 5. დისციპლინური წარმოების წესი.....3
მუხლი 6. დასკვნითი დებულებანი 4

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის ყველა სტუდენტი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით, სასწავლებლის წესდებითა და სასწავლებლის სხვა შიდა რეგულაციებით მინიჭებული უფლება-მოსილებებით.

1.2 სტუდენტი სრულად იზიარებს სასწავლებლის წესდების, სტუდენტის ეთიკის კოდექსისა და შიდა რეგულაციებით გათვალისწინებულ დებულებებსა და პრინციპებს და იცავს მათ.

1.3 სტუდენტის ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის ეთიკის კომისია განიხილავს სტუდენტთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს,ხოლო სტუდენტს ეკისრება ვალდებულება, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, შეასრულოს.

1.4 კოდექსის მოქმედება ვრცელდება სასწავლებლის სტუდენტებზე.

მუხლი 2. ეთიკის ზოგადი წესები

2.1 ეთიკის ზოგადი წესების დარღვევად მიიჩნევა ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის ტერიტორიაზე განხორციელებული შემდეგი ქმედებები:

ა) სასწავლო პროცესის შეფერხება და მისი მიმდინარეობისთვის ხელის შეშლა;

ბ) ალკოჰოლური სასმელების შეტანა/გავრცელება ანდა მოხმარება, თუკი სასწავლებლის მიერ ღონისძიების ფარგლებში არაა ნებადართული მისი მოხმარება;

გ) სასწავლებლის ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევა;

დ) სასწავლებლის ქონების დაზიანება;

ე) სასწავლებლის ტერიტორიის დანაგვიანება;

ვ) ბილწსიტყვაობა/სიტყვიერი შეურაცხყოფა სხვა პირისათვის;

ზ) ძალადობა სხვა პირის მიმართ;

თ) აზარტული თამაშები;

ი) ინვენტარით სარგებლობის წესის დარღვევა (მერხებზე წარწერების გაკეთება,სასწავლო ავეჯის დაზიანება და ა.შ.)

კ) ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის შემოტანა, გავრცელება ან/და გამოყენება;

ლ) ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების შეტანა, გავრცელება ან/და გამოყენება;

მ) სხვა პირზე ფსიქოლოგიური ან მორალური ზემოქმედება;

ნ) სხვა სტუდენტის საკუთრების უფლების რაიმე სახით შეზღუდვა, მათ შორის, ნივთის დაუფლება და/ან ფაქტობრივი ფლობა მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, ნივთის მოტყუებით გამორთმევა ან გამოძალვა, ასევე ზემოთ აღნიშნულ ქმედებათა მცდელობა, მათ შორის, ამ ქმედების განხორციელება მოტყუებით ან მუქარით;

ო) სასწავლებლის პერსონალის, ან სტუდენტის მიმართ შეურაცხმყოფელი მიმართვა, ნებისმიერი სახის ძალადობა (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სიტყვიერი), დისკრიმინაციული თუ დამამცირებელი მოპყრობა;

პ) თანამონაწილეობა ან ხელშეწყობა ისეთი ქმედების, რაც ეწინააღმდეგება სასწავლებლის ეთიკის კოდექსს და მოქმედ რეგულაციებს; .

ჟ) სტუდენტების და პერსონალის დაშინება, ცრუ ინფორმაციის, მუქარის ან სხვა ნებისმიერი სახის ზეწოლის საშუალებით

მუხლი 3. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ეთიკის წესები

1. სასწავლო პროცესთან დაკავშრებული ეთიკის წესების დარღვევად მიიჩნევა ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის ტერიტორიაზე განხორციელებული შემდეგი ქმედებები:

ა) პლაგიატი (სრულად ან ნაწილობრივ სხვისი ნაშრომის გადაწერა ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე; სხვა პირის აკადემიური ნაშრომის ან მისი ნაწილის საკუთრად გასაღება) - პლაგიატის ფორმების, ასევე პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების მექანიზმებსა და პროცედურებს არეგულირებს სასწავლებლის "პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების პროცედურა და მექანიზმები";

ბ) სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა და სხვ;

გ) სხვა სტუდენტისათვის აკადემიურ თაღლითობაში ხელის შეწყობა;

დ) სხვა სტუდენტის გამოცდის ჩაბარების მიზნით, იდენტობის გაყალბება ან მცდელობა;

ე) დასკვნითი გამოცდის მასალების გავრცელება, ასევე ჩაბარებული ნამუშევრის უნებართვოდ ჩანაცვლება;

ვ) საუნივერსიტეტო მონაცემების გაყალბება ან/და გამოყენება;

ზ) სასწავლო კურსის განმახორციელებელზე, სასწავლებლის ადმინისტრაციულ პერსონალზე ზეწოლა შეფასების მიღების მიზნით;

თ) სასწავლებელში წარსადგენი დოკუმენტაციის, ცნობის გაყალბება ან დოკუმენტების არასრულად წარდგენა, მათ შორის სახეცვლილი ან ყალბი საგანმანათლებლო დოკუმეტაციის წარდგენა უნივერსიტეტში ჩარიცხვის ან კრედიტების აღიარების მიზნით;

ი) წინასწარი ნებართვის გარეშე ნებისმიერი მოწყობილობის გამოყენება საგამოცდო პროცესზე, ასეე, საგამოცდო პროცესის ხელს შეშლა და გამოცდაზე ქცევის ნორმების დარღვევა, რაც გათვალისწინებულია სასწავლებლის "პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების პროცედურა და მექანიზმები"-ით;

კ) სხვადასხვა მოთხოვნებისა და განაწესის დარღვევა, მათ შორის სასწავლებლის პარტნიორ ორგანიზაციებში;

ლ) არასწორი/ყალბი ინფორმაციის შემცველი საჩივრის წარდგენა ლექტორის, სტუდენტის ან ადმინისტრაციული პერსონალის წინააღმდეგ.

მუხლი 4. პასუხისმგებლობა ეთიკის ნორმების დარღვევისთვის

4.1 სტუდენტებისათვის დაწესებულია დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები:

ა) შენიშვნა (ზეპირი გაფრთხილება);

ბ) საყვედური (წერილობითი გაფრთხილება);

გ) მკაცრი საყვედური (წერილობითი გაფრთხილება პირად საქმეში შეტანით);

დ) სტუდენტის სტატუსის შეჩერება.

4.2. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში შესაძლო დისციპლინური სახდელები განსაზღვრულია "პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესი"-ით.

მუხლი 5. დისციპლინური წარმოების წესი

1. ეთიკის ზოგადი და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული წესების დარღვევის შემთხვევაში, დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკთხის აღძვრა შეუძლია სასწავლებლის აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს და, აგრეთვე, ადმინისტრაციულ პერსონალს.

2. ამ კოდექსით გათვალისწინებული ქმედების განხორციელების გამო დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს ეთიკის კომისია. კომისიის საქმიანობა განსაზღვრულია ეთიკის კომისიის დებულებით.

3. კომისია ფორმირდება მუდმივმოქმედი და არჩევითი წევრებისგან. კომისია კოლეგიური ორგანოა, რომლის წარმომადგენლობითობის უზრუნველსაყოფად, კომისიის შემადგენლობაში შედიან როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალი და სტუდენტი. კომისიის საქმიანობა რეგულირდება კომისიის დებულებით.

4. სტუდენტი უფლებამოსილია:

ა) სასწავლებლიდან მიიღოს ინფორმაცია მასზე დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

ბ) დაესწროს ეთიკის კომისიის სხდომას და დაიცვას საკუთარი პოზიცია;

გ) მიიღოს მონაწილეობა მტკიცებულების მოპოვებაში, ასევე, მიაწოდოს ეთიკის კომისიას მის ხელთ არსებული მტკიცებულებები და დოკუმენტები;

დ) გაასაჩივროს სასამართლოს გზით, ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

5. ეთიკის კომისია უფლებამოსილია:

ა) სრულყოფილად გამოიკვლიოს წარმოდგენილი მტკიცებულებები, დოკუმენტაცია;

ბ) მოსთხოვოს სტუდენტს საკუთარი ქმედების აღწერა წერილობითი ან/და ზეპირი სახით;

გ) ამ კოდექსით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებისას შეუფარდოს სტუდენტს შესაბამისი სახდელის ფორმა.

6. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებას ხელს აწერს ფაკულტეტის დეკანი .

მუხლი 6. დასკვნითი დებულებანი

1. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, სააპელაციო განაცხადი შესაძლებელია ეყრდნობოდეს დამატებით მტკიცებულებებს, ან/და გარემოებებს, ასევე, თუ პირი ფიქრობს, რომ ეთიკის კომისის გადაწყვეტილება არ არის ობიექტური.

2. სააპელაციო განაცხადის დაფიქსირების შემთხვევაში, რექტორი ბრძანებით ქმნის სააპელაციო კომისიას (ერთჯერად). აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფაქტის დადასტურების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს აკადემიურ საბჭოში, ‘‘პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესი “-ის შესაბამისად.

3. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს კონსენსუსის პრინციპით და უფლებამოსილია, დატოვოს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უცვლელად, შეამსუბუქოს, ან გააუქმოს გადაწყვეტილებით დაკისრებული პასუხისმგებლობის ზომა.

4. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და წარედგინება რექტორს ბრძანებით დასამტკიცებლად.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებანი

1. სტუდენტის ეთიკის კოდექსი ძალაში შედის რექტორის მიერ დამტკიცებისთანავე.